დაკვირვება ხმებზე

მოსწავლეები „მოიძიებენ“ და აკვირდებიან მათ გარშემო არსებული ხმების სიმრავლეს, ყურადღებას ამახვილებენ გაგონილ მრავალფეროვან ხმებზე/ბგერებზე, ასახელებენ და იმახსოვრებენ მათ.



კლასი: I

მუშაობის ფორმა: მთელი კლასი

რესურსი: საგნები და მოქმედებები, რომლებიც განსხვავებულ, საინტერესო ხმებს გამოსცემენ. მაგალითად:

- კაკუნი
- ქროლა
- სტვენა
- ტაში
- ენის ტკაცუნი
- ჩანთის საკეტის გაწკაპუნება
- ჩახველება
- ქაღალდის გახევა
- მაკრატლით რაიმეს გაჭრა
- დავარდნა (სხვადასხვა საგნის)
- თითების დაკაკუნება
- ვაშლის ჭამა
- ქაღალდის გადაკეცვა
- ჩაქუჩის დარტყმა
- ხტუნვა
- ფანχრის გაღება
- სითხის დასხმა
- ზარის დარეკვა
- მოფხანა
- ფანქრის გათლა
- წიგნის დახურვა / გადაფურცვლა
- კოვზით მორევა
- კომპიუტერის ჩართვა
- „მაუსის“ წკაპუნი, კლავიატურაზე ბეჭდვა
- სიარული
- დაფაზე ცარცით წერა
- ფანქრით წერა
- პიანინოს კლავიშზე / გიტარის სიმზე / დოლზე დაკვრა

მსვლელობა

- მასწავლებელი დასხამს ბავშვებს წრედ იატაკზე ან სკამებზე და ეუბნება, რომ ისინი უნდა გადაიქცნენ „ხმების მაძიებლებად“. ამისათვის უნდა იყვნენ ჩუმად და მოუსმინონ გარშემო არსებულ ხმებს. სკოლის შენობაში ყოველთვის ისმის სხვადასხვა ხმა. ეს შეიძლება იყოს კარის დახურვის, მასწავლებლის საუბრის, ფოთლების შრიალის ხმა და ა.შ.
- მასწავლებელი ბავშვებთან ერთად საუბრობს გაგონილი ხმების შესახებ.

დააკვირვებს ბავშვებს უკვე მოსმენილ ხმებზე, რომელი ხმის აღქმა შეძლეს, რა გამორჩათ და ა.შ.

- ამის შემდეგ მასწავლებელი სვამს შეკითხვას: „ვის აქვს ყოჩაღი ყურები? ვინ გაიგონებს კიდევ სხვა ხმებს?“ - და ყველანი კვლავ მიუბრუნდებიან ხმების მოსმენის პროცესს.
- აქტივობის ბოლოს მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად შეაჯამებს, თუ რატომ არის ესა თუ ის ხმა მნიშვნელოვანი და რას გვეუბნება ის.

ვარიაციები

- თვალდახუჭული მოსწავლეები სწორი თანამიმდევრობით ასახელებენ გაგონილ ხმებს. მაგ.: „ორი ხმა იყო. პირველი იყო ..... და მეორე იყო ..... .“ ორ-ორი ხმის ამოცნობის შემდეგ მასწავლებელი გადადის სამ და მეტ ხმაზე.
- მასწავლებელი მიმდევრობით გამოსცემს რამდენიმე ხმას. შემდეგ გაიმეორებს ხმებს იმავე თანამიმდევრობით, მაგრამ ამჯერად რომელიმეს გამოტოვებს. მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, რომელი ხმა გამოტოვა მასწავლებელმა.

რჩევები: მასწავლებელს შეუძლია ჩართოს წინასწარ მომზადებული ჩანაწერი (მაგ., ცხოველის, მანქანის, ამინდის ხმები) ან თავად გამოსცეს ესა თუ ის ხმა.

შესაძლებელია, მოსწავლეებმა ამოცნობილი ხმები გამოხატონ მიმიკა-ჟესტიკულაციითა და მოძრაობით (მაგ., ფეხის ხმის გაგონებაზე თითებით ან გადაადგილებით განასახიერონ სიარული).

შესაძლებელია, მასწავლებელმა ზოგჯერ რომელიმე მოსწავლეს შესთავაზოს აქტივობის წამყვანის როლი.

მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებმა პასუხები არ წამოიძახონ და ყველას თანაბრად მიეცეს მონაწილეობის საშუალება. მასწავლებელი ზოგჯერ მთელ კლასს შესთავაზებს პასუხის დასახელებას, ზოგჯერ კი – ცალკეულ მოსწავლეს.